სსიპ
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

16.04.09 № 39

(თბილისი)

/სტუ-ს თბილისის უწყვეტი განათლებისა და დაუსწრებელი სწავლების განყოფილების სალიკვიდაციო პროცესის დასრულებისა და განყოფილების კურსდამთავრებულებზე უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის - დიპლომის გაცემის შესახებ/

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის საფუძველზე, სტუ-ს თბილისის უწყვეტი განათლებისა და დაუსწრებელი სწავლების განყოფილების სალიკვიდაციო პროცესის დასრულებისა და აღნიშნული განყოფილების კურსდამთავრებულებზე უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის - დიპლომის გაცემის საკითხის მოწესრიგების მიზნით

ვბრძანებ

1. სტუ-ს თბილისის უწყვეტი განათლებისა და დაუსწრებელი სწავლების განყოფილების სალიკვიდაციო პროცესის დასრულების მიზნით შეიქმნას სალიკვიდაციო კომისია მიმდინარე წლის 25 აპრილამდე;
2. სალიკვიდაციო კომისია დაკომპლექტდეს სტუ-ს შესაბამისის ფაკულტეტის თითო წარმომადგენელის, ცენტრალური არქივის, სამეურნეო და საექსპლუატაციო-სარემონტო დეპარტამენტის თითო თანამშრომლისა და სტუ-ს თბილისის უწყვეტი განათლებისა და დაუსწრებელი სწავლების განყოფილების თანამშრომლებით;
3. სალიკვიდაციო კომისიაში ფაკულტეტის წარმომადგენლის წევრად დასანიშნი კანდიდატურის წარმოდგენა შესაბამისი ფაკულტეტის დეკანებმა, უზრუნველყონ მიმდინარე წლის 22 აპრილამდე;
4. სალიკვიდაციო კომისიამ უზრუნველყოს კურსდამთავრებულების პირადი საქმეების შესაბამისი ფაკულტეტებისათვის გადაცემა, განყოფილების საარქივო მასალების სტუ-ს ცენტრალური არქივისათვის გადაცემა და განყოფილების ბალანსზე რიცხული მატერიალურ-ტექნიკური საშუალებების გადმობარება;
5. სალიკვიდაციო კომისიის მიერ კურსდამთავრებულთა პირადი საქმეების გადაბარების შემდეგ შესაბამისმა ფაკულტეტებმა უზრუნველყონ ჩაბარებული დოკუმენტაციის მიხედვით კურსდამთავრებულებზე დიპლომის გაცემა;

6. სალიკვიდაციო კომისიამ ამ ბრძანების მე-4 პუნქტით გათვალისწინებული სამუშაოს შესრულების შესახებ გააფორმოს შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტები;
7. სალიკვიდაციო კომისიამ მუშაობა დაასრულოს 2009 წლის 30 ივნისამდე;
8. სტუ-ს თბილისის უწყვეტი განათლებისა და დაუსწრებელი სწავლების განყოფილებას, ამ ბრძანებით გათვალისწინებული სალიკვიდაციო პროცესის დასრულებამდე მიეცეს მხოლოდ დოკუმენტაციის, საარქივო მასალებისა და ინვენტარის გადაბარების უფლებამოსილება;
9. ბრძანების შესრულებაზე პერიოდული ანგარიშის წარდგენა სტუ-ს რექტორისათვის უზრუნველყოს სალიკვიდაციო კომისიის თავმჯდომარემ;
10. ბრძანება განთავსდეს სტუ-ს ოფიციალურ ვებ გვერდზე და გამოიკრას უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ კორპუსში თვალსაჩინო ადგილას;
11. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე;

საფუძველი: სტუ-ს 2008 წლის 22 თებერვლის №17 ბრძანება და პროფ. ა. კვარაცხელიას მოხსენებითი ბარათი.

რექტორი,
პროფესორი ა. ფრანგიშვილი